# სახალხო გაზეთი

№ 407 პარასკევი, 23 სექტემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 407

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. ხსვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამის ¼ ხაათამდე ღირს 3 მ. ¼ ხაათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით ხტამბა „ხორაპან“-ში, მაღათაფის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავაჭრო ხახლის ლ. და ე. მეტცლ და ამ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ხ. ხიტლვიხა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებისა მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ იწერება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები, პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: [illegible] ლებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо [illegible]“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



18 ენკენისთვეს დანიშნული ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობა ცუდი ამინდების გამო არ შესდგა.

სამაგიეროდ სეირნობა დანიშნულია კვირას, 25 ენკენისთვეს, „ახალი კლუბის“ ბაღში

I

სეირნობა ბავშვებისათვის

11 საათიდან 2 საათამდე

ბავშვების გასეირნება მუსიკით. სხვა და სხვა თამაშობა. საჩუქარი სიმარდისათვის.

II

დიდი სახალხო სეირნობა

3 საათიდან ღამის 11 საათამდის.

ამერიკული ბაზარი. პტი-შვო. მარჩიელი. ფოსტა. ყვავილების ბრძოლა. რგოლების სროლა. კონფეტი. შუშხუნები. დაუშრეტელი ყანწი. საქანელა.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და სიმებიანი ორკესტრი. შესვლა: დიდებისათვის 25 კ., ბავშვებ. და მოწაფეებისათვის—15 კ. ბაღში შესვლა მარჯვენა კარებიდან, თეატრის გალერეის მხრიდან. (3.1492.1)



„სახალხო გაზეთი“

სურათებიანი დამატებით

1 ენკენისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 3 მან. 20 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი“. (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.



17 სექტემბერს სოფ. ბრეთში გარდაცვლილ

კნ. სოფიო სვიმონის ასულ აბალიშვილის

ჩვეულებრივი ქელეხი არ გავიმართავს, სამაგიეროდ ამ ხარჯის ფული შევწირეთ ბრეთის წმ. გიორგის ეკლესიის გალავნის შემოსავლებად. (1—845—1)



სერგეი ნიკოლოზის ძე სტრელეცკის

მეუღლე, შვილები და და, აუწყებენ ნათესავთ, თანამოსამსახურეთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 24 სექტემბერს, გარდაცვალების მე-9 დღეს, კუკიის წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში წირვის შემდეგ, დილის 11 საათზე, მისი სულის მოსახსენებლად დანიშნულია პანაშვიდი. (1—847—1)



საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—145)



1911 წ. 4 ოქტომბრიდან ქალაქ განჯაში

გამოვა ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი „შუნი კავკაზ“.

ხელის მოწერა ერთის წლით განჯაში 5 მ., ქალაქ გარეთ 6 მ. განცხადების ფასი: 1 გვერდზე სტრიქონი პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. 1912 წ. 1 იანვრამდე გაზეთი ღირს განჯაში 2 მ., ქალაქ გარეთ 2 მ. 50 კ.

მიიღება ხელის-მოწერა და განცხადებანი.

გაზეთის გასავრცელებლად და განცხადების საშოვნელად აგენტია საჭირო.

პირობების გაგება შეიძლება წერილობით და პირადად—მორიგებით.

მისამართი: განჯა „შუნი კავკაზ“. (3.1516 1)



ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირალოვისა —სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ვედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დავითაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ-დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი ა. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (წ.—1039—566)



დ. ყვირილაში

„ორაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.



მიიღება ხელის მოწერა

(მხოლოდ 15 ოქტომბრამდე)

არჩილ ჯორჯაძის თხზულებათა მე-IV წიგნზე.

წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან“ 1901—2 წ.

ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ. (გამოვა 300 გვ. მეტი). ფოსტის ხარჯად 10 კაპ.



ა. შანშიაშვილის

„შვების თავადი“

ფასი 60 კაპ.

„სახალხო გაზ.“ ხელის მომწერთათვის 40 კაპ.; იყიდება ყველგან.

საწყობი: ქართვ. ამხან. სტამბაში (ვანქის ქ., № 12) გამომცემელ მ. ნემსაძესთან. (10—10)



ვაგზლის კერძო სამკურნალო

ღარებიან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაზაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანკევიჩი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ა. გ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით. (წ.—1090—164)



ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2— ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible] სახლი [illegible]



ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.



ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.



ექიმი ე. მაჩაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 [illegible]—139)



ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.



ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—17)



ექიმი ქალი კბილისა ოლ. ელიზბარიშვილი-შანტურიასი ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს.; კვირა-უქმ. მხოლოდ დილის 9—12 საათამდე.

ვერა, ბელინსკის ქ., № 15, სახლი ელიზბაროვისა. (თ.—1451—34)



ექიმი ზ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 388. 25—1442—31



ექიმი ივ. გომართელი. დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება დილით 8—12 საათ. საღამოთი 5—7 ს.-მდე.

ვერაზე, ოლგას ქუჩა, № 20. (თ.—813—8)



ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—112)



დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა სნეულების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—3)



ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.822.6)


## მეტი მოთმენა და მეტი ყურადღება

### 1.

კარგად რომ ჩაუფიქრდეთ საქალაქო საქმეების გამო ადგილობრივ პრესაში ატეხილ დავას და აურზაურს, გულში მეტად უნუგეშო აზრები აღგეძვრებათ. აშკარავდება და ირკვევა ის გარემოება, რომ კავკასიის ერთა წარმომადგენლების და ინტელიგენციის პოლიტიკური სიმწიფე თავის განვითარების პირველ საფეხურს არ გადასცილებია, ირკვევა ის, რომ ამ ინტელიგენციის თვითცნობიერება, მის მიერ სხვა და სხვა ერთა ინტერესების კოდნა, ცნობა და შეწყნარება სრულიად უნუგეშო მდგომარეობაშია.

ალიძრება თუ არა ჩვენს ცხოვრებაში სერიოზული საკითხი, რომელსაც ღრმა ჩაფიქრება სჭირია და გულდასმითი შესწავლა, ყველანი მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ თავიანთი უკიდურესი „პროგრესისტობა“ და „მოწინავეობა“ გამოიჩინონ, ყველანი მხოლოდ მზა-მზარეულ ბრჭყვიალა ეტიკეტების დამცველებად გამოდიან მწერლობაში. და არავის არ ეტყობა, რომ უღევნებია თვალი ცხოვრებისათვის, აღმოუჩენია ამ ცხოვრებაში ახალი მოვლენანი, უფიქრია ამ ახალ მოვლენათა მნიშვნელობაზე და არ მოჰრიდებია თავისი საკუთარის სახელით დაერქმია და დაესახელებია ეს მოვლენანი.

საყურადღებო ის არის, რომ კავკასიის ინტელიგენციის სრული მოუმზადებლობა განსაკუთრებით მაშინ აშკარავდება, როდესაც ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ქართველების შესახებ. საერთო უვიცობას და საარაკო სიმჩატეს აქ ერთვის ქართველ ინტელიგენციის ერთის ნაწილის სიმჩატე და სრული გაუგებრობა იმისი, თუ რა ხდება ან გარშემო, ან ქართველ ხალხის ცხოვრებაში. ეს ცხოვრება თითქოს თვალწინ არ იყოს გადაშლილი, არამედ სადმე შორს მიმალული — ისეთი გულუბრყვილო და საკოდავი მსჯავრი ისმის აქეთ-იქიდან. არავინ აკვირდება, თუ რა დუღილი ისმის ამ ცხოვრების გულში და რას ჰფიქრობენ ამ დუღილის შესახებ ისინი, ვინც მასთან ახლოს სდგანან და ვინც სცდილობს მის განმარტებას სინამდვილის მიხედვით და არა წინდაწინვე დამზადებულ უადრესად მოწინავე (უსათუოდ მოწინავე) და უადრესად მყვირალ (უსათუოდ მყვირალი) ტერმინოლოგიის მიხედვით.

დიაღ, საქმე სწორედ ასეა. გადაშალეთ რუსული, ქართული თუ სომხური გაზეთები. მცირედის გამონაკლისით, ამ გაზეთებში ვერ ჰპოვებთ ჩვენი ცხოვრების სამართლიან განმარტება-დაფასებას, ვერ ჰპოვებთ იმას, რაც უნდა იყოს პრესაში, რომელიც ჰგრძნობს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე.

ოთხმოცდაათი წლის განმავლობაში საქართველო ღრმა სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებას განიცდის, „სოფლური“ და „თავადური“ ქვეყანა სხვაფერდება. ძველ შინაარსთან გვერდით ჩნდება ახალი, ისახება „ქალაქური“ და დემოკრატიული ელემენტები. ამ ახალ ელემენტების კაჩუნის და გარკვევის გამო თავის დროს ქართულ მწერლობაში დიდი და ცხარე კამათი იყო. აქ საყურადღებო ის არის, რომ, ვისაც მაშინ მხურვალე აპოლოგეტი იყო „მესამე ელემენტის“ გამოსვლისა და გამოჩენისა ჩვენს ცხოვრებაში, დღეს, როდესაც ნათლად გამოირკვა ფიზიონომია ამ „მესამე ელემენტისა“, რომელიც მოგვევლინა არა ბურჟუაზიის სახით, არამედ დემოკრატიულის ფიზიონომიით და რომელმაც მოინდომა საზოგადოებრივ ასპარეზზე თავისი ძალღონის და ღირსების შესაფერი ადგილი დაჭირა, დღეს ამ ელემენტის გუშინდელი თეორიული მოსარჩლენი, ყალხზე შედგნენ, დაინახეს რა რომ „საქმე“ გაზეთის ფურცლებიდამ ცხოვრებაში გადავიდა. გაკვირვებულნი დარჩნენ, როდესაც ჰნახეს, რომ ცარიელი ლაპარაკი „ფეოდალიზმის დამხობის“ შესახებ ალარავის აკმაყოფილებს და ისინი, ვინც გამოვიდნენ დამამხობელად—დემოკრატია და წვრილი ბურჟუაზია—სიცოცხლეს და მოქმედებას აპირებენ. ასეთ უცნაურ და გამოურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდა „მნათობი“ და მისი თანამოაზრენი.

არა ნაკლებ უცნაურ მდგომარეობაში იმყოფება სომხური პრესა. აქ ქართველების შესახებ საოცარი ერთსულოვნება ჰხუფევს. განცვიფრებაში ხარო და რომ აკვირდებით, აშკარად ხედავთ, რომ აქ ზოგიერთი კარგად ხედავს სინამდვილეს, მაგრამ მალავს, ზოგი კი ისე არის დაშორებული ამ სინამდვილეს, რომ არა გაეგებარა, არავითარი ცოდნა არა აქვს ცხოვრებისა, არა წაუკითხავს რა, რაც დაუწერიათ ქართველებს და თუ წაუკითხავს არაფერი გაუგია და არაფერი ამოუკითხავს შიგ. აი, მაგალითად, გაზეთი „ჰორიზონი“, რომლის ერთი წერილი ქართველების შესახებ ამას წინად გადაითარგმნა ჩვენს გაზეთში, „სახალხო გაზეთის“ შესახებ იმ აზრისაა, ვითომ ეს გაზეთი „გოლიცინის რეჟიმის“ დაბრუნებისაკენ მიისწრაფვის. ჩვენს გაზეთს თურმე დღეს „სხვა აზრი, სხვა საქმე არა აქვს, თუ არა ნაციონალისტურ განსხვავებას დამყარებულ შოვინიზმის ღექვა; აწ ამ საქონელს აქვს ფასი და რისთვის არ ისარგებლონ ამით, როდესაც სიცარიელეს და უდაბნოს წარმოადგენს საზოგადოებრივი ნაყოფიერი სპეტაკი ასპარეზიო?“ ჩვენ თურმე ვშხამავთ საზოგადოებას. „ვინც საზოგადოებას შხამს აწვეთებს, მდგომარეობის ერთად-ერთი ბატონები არიანო“. ამგვარად ჩვენ თურმე დღეს მდგომარეობის ერთად ერთი ბატონებიც ვყოფილვართ! მოდით და ნუ გაიხარებთ ამ „ბატონობით“!

ყოველივე ეს ამოვწერეთ იმიტომ კი არა, რომ შევეკამათოთ და შევებრძოლოთ შემცდარ მოკავათეს. არა, შეცდომაც არის და შეცდომაც. არის შეცდომა, რომლის წინაშე გაშტერებული დგეხარ და უნებლიეთ მწარე ფიქრებს ეძლევი: ოჰ, რა შორს არის ვითომდა ყველასათვის სანატრელი სოლიდარობა, ერთმანეთის გაგება, ერთმანეთის პატივისცემა! და ამგვარი შეცდომა მოპირდაპირისა ძირშივე ჰკლავს სურვილს ლაპარაკისა და კამათისას. არა, სომხის პრესის აზრს ჩვენ ანგარიშს გაუწევთ მაშინ, როდესაც შიგ ამ ერის ღირსების შესაფერ აზრებსა და სიტყვებს ვნახავთ ქართველების შესახებ. ამ სიტყვებს გულწრფელად ველით, რადგან გვწამს სიდინჯე სომხის ხასიათისა და მისი უნარი გაგებისა და მიხვედრისა.

მაგრამ რა!.. რა უნდა ვსთქვათ სომხებზე, როგორ უნდა დავემდუროთ მათ, როდესაც აი აქ, გვერდით, ჩვენივე მოძმე, ჩვენივე ამხანაგი და ჩვენს პირ-ვარამში გამოჩეკილი და სამსალა დალეული გაზეთი „თემი“ იმასვე ამბობს, იმასვე ავრცელებს მკითხველთა საზოგადოებაში. „პირბადე ჩამოისხნეს იმათ, ვკითხულობთ გაზეთის № 37-ში, ვისაც აქამდინ ჰქონდა ის აფარებულიო“. ეს პირბადე თურმე „სახალხო გაზეთის“ და მის თანამშრომლებს ჰქონდა აფარებული. საცოდავები! „სულ ვერ ჰბედავდნენ აქამდინ თავის ნამდვილ გულის ნადების გამხელას, განაგრძობს გაზეთი. და აკი არც აცივეს, არც აცხელეს და პირდაპირ საასპარეზო გამოვიდნენო“. და წარმოიდგინეთ, „სახალხოელებთან“ ერთად ამ „საასპარეზე“ გამოსულა თვით თემის მიერ „პატივცემული პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძეც“. არჩილ ჯორჯაძემ, თურმე, ორი დანაშაულობა ჩაიდინა. პირველი ის, რომ „გამოვიდა იმის მოსარჩლედ, რასაც ადრე იწუნებდა. იგი მოითხოვს საქალაქო საბჭოში პროპორციონალურ ეროვნულ წარმომადგენლობის შემოღებასო“. მეორე ის, რომ „მან დაადასტურა ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის ნაბიჯი და დიდი თანაგრძნობა (კურსივი ჩემია) და სოლიდარობა გამოუცხადა „ზაკავკასკაია რეჩს“, რომლის რედაქცია დიდის სიამოვნებით სთარგმნის მთლად მის წერილს და მოპირდაპირეს ნალაპარაკევს კი უმალავს თავის მკითხველსო“. ამგვარია „თემის“ აღშფოთება.

მაგრამ მის დასამშვიდებლად უნდა ვსთქვა, რომ მე არასოდეს არც ვიწუნებდი, არც ვესარჩლებოდი პროპორციონალურ წარმომადგენლობის საკითხს. საზოგადოთ, ამის შესახებ არასოდეს არ მილაპარაკნია. ხოლო ვინც ჩემს ნაწერებს იცნობს, მას არ ეხამუშება ამ საკითხის აღძვრა ჩემ მიერ დღევანდელ ისტორიულ მომენტში. რაც შეეხება იმას, რომ მე „დიდი თანაგრძნობა და სოლიდარობა“ გამოვუცხადე „ზაკავკაზსკაია რეჩს“, ეს სრულიად არ გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ამ გაზეთში გადაბეჭდეს ჩემი წერილი. ამ გადაბეჭდვიდან უფრო ის სჩანს, რომ „ზაკავკაზსკაია რეჩმა“ მოიწონა ჩემი წერილი და ამის გამო მან გამომიცხადა სოლიდარობა და არა მე იმას. და ამას მე ვერავის ვერ დავუშლი, როგორც მაგალითად, „თემი“ ვერ დაუშლის „ტიფ. ლისტოკს“, როდესაც იგი ამ გაზეთში მსგავს აზრებს ემხრობა და ტაშს უკრავს. ჩვენსა და „ზაკავკაზსკაია რეჩის“ შორის განსხვავების შესახებ მეტია აქ ლაპარაკი, ხოლო გულ-ახდილად ვამბობ, რომ მე პირადად გაცილებით უფრო მეტად მესიამოვნება პართენ გოთუას თანაგრძნობა, ვიდრე გ. ხახატუროვის ქათინაურები.

უნდა იცოდეს მკითხველმა, რომ „თემის“ ხელმძღვანელის წყრომა და გაჯავრება ახალი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინად გაზეთი სულ იმას გაიძახოდა, რომ „სახალხო გაზეთს“ ტფილისის თავად-აზნაურთა საკრებულოსთან აქვს კავშირი, რომ ჩვენ გვინდოდა გაზეთის გადაცემა მ. მაჩაბლის ხელში და რომ „სხვები რომ არ ყოფილიყვნენ“ ეს ამბავი უსათუოდ მოხდებოდა. და კიდევ ბევრ რამეს სწამებდა „თემი“ „სახალხო გაზეთს“. და ყოველივე ეს მოსდიოდა „თემის“ ხელმძღვანელს განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი დაშორებული იყო „სახალხო გაზეთის“ ჯგუფს, უფრო რუსულ გაზეთების რედაქციებში ტრიალებდა, იქ, სადაც ყოფნა ახლა ეთაკილება, რომ ამ დაშორების გამო იგი არა მარტო არ ადევნებდა აზრის მუშაობას, რომელიც წლების განმავლობაში სწარმოებდა ხსენებულ ჯგუფში, არამედ ამ აზრის გაგების უნარიც დაეკარგა. სამწუხაროა ყოველივე ეს. და აბა სომხებს, როგორ უნდა დავემდუროთ ამის შემდეგ.

ყოველივე ეს, რაც ვსთქვით, არ შეეხება პირდაპირ საქალაქო არჩევნების საკითხს. ხოლო ამისი თქმა მაინც საჭიროდ მიმაჩნდა, მით უმეტესად, რომ მე არა თუ არ გაურბივარ ჩვენს კამათში აღძრულ პრინციპიალურ საკითხს, პირ-იქით, მწყურია ამგვარი ლაპარაკი. დაკარგული დრო არ გვექნება, თუ მოვიგონებთ საქალაქო არჩევნების საკითხი, როგორ იყო დაყენებული წინა წლებში, თუნდ ამ თორმეტი წლის წინად, როდესაც ეროვნულ პროპორციონალურ არჩევნების პრინციპს გამოესარჩლა ნ. ნიკოლაძე. ნ. ნიკოლაძე ველიჩკოს გაზეთში სწერდა იმ ხანებში და ეს გარემოება საკმარისი საბუთია, რასაკვირველია, „შეპყრობილთა“ *) თვალში ამ აზრების უყურადღებოდ დატოვებისათვის. ჩვენ კი გვგონია, რომ დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას ყველა ამისი მოგონება. მართალია, შეიძლება ველიჩკოს მომხრეობაც დაგვწამონ, მაგრამ, როგორც აშკარადა სჩანს, ჩვენს მწერლობაში კაცმა არ უნდა იხელმძღვანელოს იმითი, თუ რას იტყვიან ჩვენს შესახებ. არ უნდა იხელმძღვანელოს, რადგან საუბედუროდ ჯერ კიდევ შორს ვდგევართ საზოგადოებრივ აზრის დამწიფებასთან.

არჩილ ჯორჯაძე.

*) «დიადის პრინციპების წყურვილით».

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **თბილის-კოჯრის რკინის გზა.** ინჟენერ კოგნოვიცკიმ თავის მხრით და კ. ი. მარკარიანის რწმუნებულობით კავკასიაში მიწად-მომწყობ და მიწად მიმქმედ მთავარ გამგეობას განცხადებით მიმართა, სადაც აღნიშნა, რომ ტფილის კოჯრის ორთქმავალ ტრამვაის მომაყალი სააქციონერო საზოგადოება, რომლის დამფუძნებელიც თითონვე არის, მზადაა ის ხელშეკრულობა შეასრულოს, რომელიც ხაზინასთან ბოტანიკურ ბაღის ადმინისტრაციის პირით კ. მ. ხატისოვმა და განსვენებულმა ინჟენერ ბრაილოვსკიმ შეჰკრეს. ამავე საქმის გამო ნამესტნიკის საბჭომ მიწადმოქმედების მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებულს სთხოვა, აცნობოს ბოტანიკურ ბაღის დირექციის ორთქმავალ ტრამვაის გაყვანის საწინააღმდეგო ხომ არაფერი აქვს, კერძოდ კი—სოლოლაკის მთაში გვირაბის გაყვანის საქმეში რა უფლებანი აქვს ქალაქის თვითმართველობას და საქმის დამწყებთ კ. ი. ხატისოვსა და ბრაილოვსკის; შეუძლიანთ თუ არ ახალ აქციონერებს ისეთივე პირობებით ასარგებლონ, როგორც ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ, თუ არა.

✦ **სანიტართა კომისიამ** გუშინ შუა ბაზარში ერთი ფუთი ლვარძლისი თევზი აღმოაჩინა და მოსპო. თევზის პატრონს ოქმი შეუდგინა.

✦ **ავლაბრის საზოგადო კლუბი** საზამთრო სადგომში 5 ოქტომბერს გადავა. ამ ქამად შენობას აკეთებენ.

✦ **ავლაბრის მცხოვრებთ** ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეაქვთ. სთხოვენ სკამების დადგმას ახლად გაშენებულ ბაღში.

✦ **კავკასიის სააბრეშუმო სადგურმა** დაადგინა, ამ ბოლო ხანებში ამიერ კავკასიაში გავრცელებულ ფუტკრის „სიდამპლესთან“ ბრძოლაში დასახმარებლად 1912 წლის გაზაფხულზე რამდენიმე ინსტრუქტორი სპეციალისტი გაგზავნოს იმ რაიონებში, სადაც ეს სენი გავრცელებული.

✦ **სოხუმის ეპისკოპოსი** ანდრია (თავ. უხტომსკი) ტფილისში ჩამოვიდა.

✦ **ყასაბთა შუამდგომლობა** ქალაქის სამეურნეო კომისიამ უყურადღებოდ დასტოვა. ყასაბნი ხორცის ნიხრის მომატებას თხოულობდნენ.

✦ **ახალ კლუბის** საზამთრო შენობის მოწყობა-გადაკეთებას ამ დღეებში შეუდგებიან.

✦ **ტფილისიდან კოჯრამდე ელექტრონის რკინის გზის გაყვანის პროექტი** სააქციონერო საზოგადოებას ქალაქის გამგეობისათვის ჯერაც არ წარუდგენია, თუმცა პროექტის წარდგენის ვადა უკვე გავიდა. პირობის ძალით, ქალაქის სასარგებლოდ უნდა ჩაირიცხოს ის 10,000 მან. რომელიც საზოგადოებას ქალაქის გამგეობაში ბედ აქვს წარდგენილი. საზოგადოება გამგეობას სთხოვს, ახალი ვადა მოგვეცი პროექტის შესადგენად, სამაგიეროდ ქალაქიდან ფუნიკულერამდე მისასვლელ გზას ჩვენის ხარჯით გავაკეთებთო.

✦ **ხაცდელი მოკირწყვლა** ინჟენერ გუბენის სისტემით ერევნის მოედანზე უკვე დასრულდა. ამ დღეებში ქალაქის საგანგებო კომისია შეამოწმებს, რამდენად ხელსაყრელია ქალაქისთვის ამ სისტემით ქუჩების მოკირწყვლა.

✦ **ქალაქის გამგეობამ.** ტეხნიკოს აბესალომოვს დაავალა, დაათვალიეროს ტრამვაის სავლელი გზები, რათა დაუყოვნებლივ შესწორებულ იქმნას ყველა უსწორმასწორო და დანგრეული გზები.

✦ **თამარაშვილის დაღუპვის გამო** რედაქციამ ქუთაისიდან შემდეგი **სამგლოვიარო დეპეშა** მიიღო: შეძრწუნებულია „ქუთაისის ქართული გიმნაზია ნიჭიერ ქართველის მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებით, რომელმაც საყვარელ სამშობლოს სასარგებლოდ ბევრი იღვაწა და რომელმაც საქართველოს ეკლესიის ისტორიაში დაუფასებელი შრომით მთელი ევროპის ყურადღება მიიქცია.

გიმნაზიის გამგე **ოცხელი.**

✦ რედაქციამ მიიღო ექიმ ლოლობერიძის ხელით, **ევდოშვილისა და მის სახლობის გადასაცემად** 35 მანეთი, რომელიც ახალციხეში გამართულ წარმოდგენიდან დარჩენილა. ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა.

✦ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **ჯეჯილის რედაქციამ** მიიღო ფოთიდან ბარნაბა ცენტერაძისაგან 8 მან., შეგროვილი ქალაქ ფოთში მუშათა შორის **ეგნატე ნინოშვილის ძეგლის სასარგებლოდ.**

## საზოგადოებანი და კრებები.

✦ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გუშინწინ **ხეთაგურის შუამდგომლობა** განიხილა. ხეთაგური სთხოვდა, შეწეობა მომეცით ჩემს მამულში სტცელი სანერგე მოვაწყოვო. საბჭომ დახმარების აღმოჩენა საჭიროდ სცნო და საქმე საადგილ-მამულო კომისიამაც დეპუტატთა საკრებულოს გადასცა. უკანასკნელმა ხეთაგურს დახმარებაზე უარი უთხრა.

## სასწავლებლებში

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** 26 სექტემბერს წლიური აქტი გაიმართება.

✦ **სერგეი ნესტორის ძე კაკაბაძე,** რომელმაც ამ წლის გაზაფხულს ორი გამოსაცდელი ლექცია წაიკითხა, უკვე დაამტკიცეს ქალთა უმაღლეს კურსების საქართველოს ისტორიის კათედრაზე. ბ. კაკაბაძე ლექციების კითხვას უკვე შეუდგა.

✦ **ქალაქის სახელოსნო სკოლის** დირექტორი აკუნოვი ქალაქის გამგეობას სთხოვს, ერევნის მოედანზე სკოლას მაღაზია დაუთმოს მოსწავლეთა ნამუშევარის დასაწყობად.

## სასამართლო

✦ **ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი** ა. ა. გრომოვი ბათომს გაემგზავრა.

✦ **ტფილისის ოლქის სასამართლოს** სისხლის საქმეთა პირველ განყოფილების სესია გორს გაემგზავრა, სადაც 1 ოქტომბრამდე დაჰყოფს.

✦ **ტფ. სასამართლო პალატის სესია,** რომელიც ბ-ნ ლაგოდის თავმჯდომარეობით ჩრდილოეთ კავკასიაში იყო წასული, გუშინ ტფილისში დაბრუნდა.

## სომხეთა ცხოვრება.

✦ **სომხურ დრამატიულ საზოგადოებას** 25 აგვისტოს კრება ექმნება სომეხთა სკველმოქმედო საზოგადოების სადგომში.

✦ **სომეხთა სამეურნეო საზოგადოება** ქალაქს იჯარით მიწას სთხოვს საცდელ ბაღის გასაშენებლად.

## ქუთაისი

✦ **ქუთაისის ქალაქის საბჭომ** უარჰყო გუბერნატორის წინადადება, რომ ქალაქმა თავის თავზე მიიღოს ხარჯი საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოს ბინის დასაქირავებლად.

✦ ქუთაისის **ქართულმა გიმნაზიამ** მათემატიკისა და ბუნების მეტყველების მასწავლებლებად მოიწვია ბ-ნი **ეზიკაშვი და ჯანელიძე.**

✦ სამი დღეა ქუთაისში არაჩვეულობრივი **ქარი ჰქრის.** ჰოსპიტლის ქუჩაზე ქარმა დიდი ხე წააქცია.

✦ ის **დეპუტაცია,** რომელიც თავად აზნაურთა არაჩვეულობრივმა კრებამ აირჩია ნამესტნიკთან წარსადგომად თავად-აზნაურთა საქმეებისა და შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის გამო მომავალ კვირაში ტფილისში გაემგზავრება.

✦ საადგილ-მამულო **ბანკის რწმუნებულთა ჯგუფმა** (29 კაცმა) კვლავ შეიტანა განცხადება ბანკის ზედამხედველ კომიტეტში, დაუყოვნებლივ არაჩვეულებრივი კრება მოიწვიეთ იმ საგნების განსახილველად, რომელიც წინადადებაშია აღნუსხულიო.

✦ საადგილ-მამულო ბანკის ტეხნიკს შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა განსვენებული **თოფურიასეული სახლის გადასაკეთებლად** თვით ბანკის საჭიროებისათვის მოსაწყობად. ამას თურმე 40 ათასი მანეთი დასჭირდება.

✦ 19 სექტემბერს **ქალაქის საბჭომ** ქალაქის მოურავის წინადადებით ფეხზე წამოდგომით პატივი სცა განსვენებულის მინისტერთა თავმჯდომარის პ. ა. სტოლიპინის ხსოვნას და მიანდო ქალაქის მოურავს, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს განსვენებულის მეუღლეს. ამავე სხდომაზე ქალაქის საბჭომ დაადგინა:

ა) მოემატოს პურის არსებულ ნიხრს 1/2 კაპიკი პირველი და მეორე ხარისხის ოყაზე, ე. ი. დაწესდეს შემდეგი ნიხრი: ოყა პირველი ხარისხის პურისა 14 1/2 კაპიკად, მეორე ხარისხის 13 კაპ. და მესამე ხარისხისა 11 კაპ.

ბ) უყურადღებოდ იქნეს დატოვებული გუბერნატორის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქალაქის თვითმართველობებმა ყოველ წლიურად გადადვან ექვსას ექვსასი მანეთი ქუთაისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოსათვის სადგომის დასაქირავებლად.

გ) ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიის მოხსენება 1 2/3 მილიონი მანეთის სესხად აღების შესახებ გადაიდვას სხვა დროისთვის („კოლხ.“)

✦ **ტყის მოშენება შავი ზღვის ნაპირად.** სექტემბრიდან ბათომში იწყება თათბირი შავი ზღვის პირად ტყის მოშენების შესახებ. მონაწილეობას მიიღებენ თათბირში კავკასიაში მიწათ-მოქმედების და მიწათ-მომწყობი მთავარ გამგის რწმუნებული არხიპოვი და ლესნიჩთა ვიცე ინსპექტორი—ფოკა. („მნათ“).

## სოხუმი

✦ ქალაქის გამგეობის წევრების კანდიდატებად, გარდა დასახელებულ გამგეობის წევრის ი. ზ. ცაცხლაძისა, ასახელებენ აგრეთვე ქუთაისის სათ. აზ. საადგილ-მამულო ბანკის შემფასებლად ნამყოფ დგებუაძეს და ხმოსან ვ. თ. პრეობრაჟენსკის.

## თელავი

✦ **წ. კ. გამ. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების გამგეობის წევრი ივ. პაატაშვილმა** მოხსენება წარუდგინა გამგ. თავმჯდომარეს, განყოფილების საქმეების უკეთესად მოწყობა-მოგვარების

# მუშათა სოლიდარობა იტალიაში

(დასასრული *).

ამ ოთხი წლის წინად პარმაში ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. გაფიცვა მეფობდა. რევოლვერები და თოფები გრიალებდა. ათი ათასობით მუშა ამ გაფიცვაში სულსა ჰლევდა. დაუძლურებულნი, მშიერნი, სასოწარკვეთილებით სწყევლიდნენ ქვეყანას. დიდი შრომა დასჭირდათ სოციალისტ-რეფორმატორებს, რომ ეს უგუნური გაფიცვა შეეჩერებინათ, რომელმაც მთელი მხარე დაღუპვის გზაზე დააყენა. მშობლების თვალწინ ბავშვები სიმშილით იხოცებოდნენ, ქალები ბეჯითად მოითხოვდნენ პურის დუქნების აკლებას, რომ ბალღები დაეძღოთ; კაცები ჯარს ეომებოდნენ. ცუდად იყო საქმე.

მაშინ ზოგიერთ სოციალისტებს ერთი აზრი მოუვიდათ: იტალიაში ხომ იმდენი სოციალისტი, რესპუბლიკანელი და კეთილი ადამიანია, მიუხედავად რწმენისა. რატომ არ უნდა მოხმარებოდნენ გაფიცულებს არა მარტო კეთილის სიტყვით, არამედ ფულითაც. რატომ არ უნდა წაეყვანათ თავიანთთან დროებით გაფიცულ ამხანაგების შვილები? განა გაფიცვა რამდენი ხანი უნდა გაგრძელებულიყო? ათი, თხუთმეტი დღე, ერთი თვე, თუნდ ორი. განა მუშის ოჯახი დაიღუპებოდა, რომ ორი თვის განმავლობაში ერთი ზედმეტი ბავშვი გამოეკვება? სადაც ექვსი ბავშვი იყო, იქ მეშვიდე მძიმე ტვირთად არ დააწვებოდა ოჯახს.

ეს აზრი ყველამ გაიზიარა და სისრულეშიაც სწრაფად მოიყვანეს.

და, აი, პარმის ქუჩებზე გაგრძელდა გულსაკლავი პროცესიები: ძონძებში გახვეულს, ნიათ გამოლეულ ქალებს ხელით მოჰყავთ ბალღები და აბარებდნენ „დროებით“ მამებს, რომელნიც მშიერს ბავშვებს ხელში ამაყათ იყვანდნენ. მას უკან განვლო საკმაო დიდმა ხანმა. არა ერთხელ და ორჯერ განმეორდა „ბავშვების დარიგება“... ეს დარიგება შემდეგ ნაირად ხდება:

იმ ქალაქის შრომის კამერა, სადაც გაფიცვაა, აცხადებს „შრომის კონფედერაციის“ ორგანოებში და სოციალისტურ პრესაში, „საჭიროა წაიყვან-წამოიყვანონ მშიერი ბავშვები“. ადგილობრივ შრომის კამერაში დაუყოვნებლივ დაეკითხებიან თავის წევრებს—ვის შეუძლიან ბავშვის შენახვა, და შემდეგ დეპეშით აცნობებენ იმ კამერას, რომელიც აცხადებს,—ამდენი და ამდენი ბავშვი გამოგვიგზავნეთ აქა და აქაო. პირველ განცხადებიდან, 48 საათის შემდეგ, ბავშვები, კონფედერაციის მსახურის თანხლებით, მატარებელში სხდებიან.

იმ ქალაქის სადგურზე, სადაც ბავშვებს „არიგებენ“, მატარებელს დიდის ამბით ხვდებიან. სადგურის ბაქანზე მწკრივად სდგანან ბაირაღებით ხელში შრომის კამერის და მემარცხენე პარტიების წარმომადგენელნი. მოდის მატარებელი. მუსიკა „ინტერნაციონალს“ უკრავს. ბავშვებს აბარებენ „დროებით მამებს“ და მატარებელს „ინტერნაციონალის“ დაკვრითვე და „გაუმარჯოს“ ძახილით აცილებენ.

ასეთივე ამბით უხვდებიან მატარებელს შემდეგ სადგურზედაც, სადაც ბავშვებს ახლა სხვებს გადასცემენ.

გაფიცვის გათავების შემდეგ „დროებით მამებს“ მიჰყავთ ბავშვები დანიშნულ ალაგას, იქიდან კი შრომის კონფედერაციის მსახურთან ერთად აცილებენ „მუდმივ“ დედმამასთან.

გაფიცულთა ბავშვების ასეთი ამბით შეხვედრას ეს სოფელიც მოესწრო დღეს, სადაც მე ამ ზაფხულს ვცხოვრობდი. ეს პატარა სოფელია. წინად ცნობილ პატრიციულ ქიჯის გვარეულობას ეკუთვნოდა. რომთან შეერთებულია ელექტრონის ტრამვაით აქაც ძლიერა სცემს ცხოვრების მაჯა. სოციალისტური, რესპუბლიკანური და კათოლიკური პარტიები მედგრად ებრძვიან ერთმანეთს. პირველი ორი ებრძვის მესამეს-კათოლიკურს. ადგილობრივი რესპუბლიკანელების მეთაური-მეწვრიმალეა, ეს მუნიციპალის წევრი კარგი მოლაპარაკე და... თავზე ხელ აღებული კაცი.

სოციალისტების „ლიდერი“ მეჩექმეა, კაცი გამხდარი, ჩუმი, გესლიანი, ერთგული მკითხველი „Avanti“-სა, ზიზღით მომხსენიებელი ყველაფერ არა-სოციალისტურისა.

კათოლიკეთა მეთაური მეორე მეწვრიმალეა, კომერციული და პოლიტიკური მოქიშპე რესპუბლიკანელ მეწვრიმალის მუნიციპალურ და პოლიტიკურ არჩევნების დროს. კლერიკალ მეწვრიმალე სცდილობს გული მოიგოს სოციალისტების მეთაურ-მეჩექმისა, ძალიან ულაქუცებს, უგზავნის დასაკერებლად თავის ოჯახობის, მახლობელ და შორეულ ნათესავების ფეხსაცმელებს. მეჩექმე „ფასს იღებს“, მაგრამ თავის რწმენას მტკიცედ ადგია, არა ჰღალატობს.

კვირაში ასე სამჯერ პარტიები არიჩიის მოქალაქეთადმი ფურცლებსა სცემენ (არიჩიაში სამი ათასამდე მცხოვრებია). ფურცლების შინაარსი მრავალგვარია, უფროკი ადგილობრივ ჭირ-ვარამს ეხება. საუკეთესოდ, ენა წყლიანად წერილის შემდგენელი, რასაკვირველია, მეჩექმეა. ეს „კაცობრიობის იდეალების სახელით“, ან „სამართლიანობის გამეფების სახელით“ „შოლტავს“ რესპუბლიკანელებს და კლერიკალებს. იდეალები და მარქსი მოყვანილი იყო ერთს „მანიფესტშიც“, რომელიც ქუჩების ცუდად განათებას ეხებოდა.

უკვე ერთი კვირაა, რაც მეჩექმე და რესპუბლიკანელი მეწვრიმალე რაღაცაზედაც თათბირობენ. საღამოობით ისინი მოედანზე სხედან, სადაც სოფლის მთელი სიცოცხლე სდუღს, მძიმედ შეექცევიან ყავას და გაცხარებითა ბაასობენ. სწორედ რომ დიდი ამბავია, და დედაკაცებმა, რომელნიც აქვე ტრიალობენ, კიდეც გადასწყვიტეს, პოლიტიკაში არიან გართულნიო.

მაგრამ პოლიტიკა შორს იყო. უკიდურესი მემარცხენე პარტიების წარმომადგენელნი იმაზე თათბირობდნენ, თუ როგორ დახმარებოდნენ პიომბინოს და ელბას გაფიცულთ, აგერ 50 დღეა, რაც იქ ფოლადის ჩამომსხმელი და მექანიურ ქარხნების მუშები არიან გაფიცულნი. ექვსი ათას მუშას ამ გაფიცვაში სული ჰხდება, მდიდარი საზოგადოებანი მაინც არას უთმობენ. პირველად გაფიცვა მშვიდად მიმდინარეობდა, მაგრამ საქმე თან და თან გამწვავდა. ორივე მხარე გაბოროტებულია. მექარხნეებმა გერმანელი მუშები დაიბარეს. გაფიცულები შტრეიკბრეხერებს ჰხოცავენ, მუშაობის ნებას არ აძლევენ-ელბაც, პიომბინოც სავსეა ჯარის კაცებითა, პოლიციელებით და გაფიცულებს ეს უფრო აცეცხლებს. დეპუტატები, სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი, გაფიცულ ოლქების კავშირები ნებას არ აძლევენ მუშებს წესიერება დაარღვიონ უკრიძალავენ. მაგრამ კეთილ გონიერების ხმა ხმადვე რჩება, და პოლიციელებსა და გაფიცულთ ყოველ დღე დიდ-დიდი შეტაკება მოსდით.

მუშების სახლებში კი სიმშილი მეფობს. ყველაფერი გაყიდულია, დაგირავებულ-გადაგირავებული. სავადმყოფოები სავსეა ხალხით. ძუძუმწოვარი ბავშვები სიმშილით იხოცება, ხოლერა კარზეა მომდგარი, სახადი უკვე მძვინვარებს; რას იზამ, ბავშვები ისევ კეთილ ადამიანებს უნდა

*) იხ. «სახ. გაზეთი» № 405.

შ[illegible]ახებ, რომელიც ეხება საწევრო გარდასახადის შეკრებას, წევრთა შეძენას, სკოლას და სხვა.

## პროვინცია

✦ **ქიზიყი**. წელს ფუთი ყურძენი ადგილობრივ 9 მანეთად ფასობს. ყურძენი ჯერ არ დამწიფებულა, შიშობენ მოსავალი ნაკლები იქნება რადგან ნაადრევად აცივდა და ხანგრძლივი წვიმებიაო.

✦ **ხ. ველისციხე** (სიღნაღის მაზრა) ველისციხე ციებ-ცხელების ბუდე იყო უწყლობის გამო. ბევრი ვეცადეთ წყალი გამოგვეყვანა, მაგრამ აქამდის ვერ მოვახერხეთ, რადგანაც წყალთა სამმართველოს გამოანგარიშებით მისი გამოყვანა 28000 მან. დაჯდებოდა. ამ მოკლე ხანში, როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ინჟინერი გრ. ქურდიანი გვეწვია და საქმე გამოიკვლია. ეხლა, როგორც გავიგეთ გეგმა შეუდგენია და მილებიც დაუკვეთნიათ. წყალი 4 ვერსის მანძილიდან უნდა მოიყვანონ და სულ დაჯდება 28000 მ. მაგიერ მხოლოდ 13000 მ.

# სასამართლო

**სამარყანდი.—ანდღულაძეების საქმე**

ამ დღეებში აქ გაირჩა ფოსტის ვაგონიდან 330 ათას მანათის მოპარვის საქმე. სასამართლომ ფოსტის მოხელე **ვოლოცკის** 4 წლით პატიმართა გამასწორებელ საპატიმროში დაპატიმრება მიუსაჯა. ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთ გრიგოლსა და ივანე ანდღულაძეებს—სამ-სამის წლით. მამულაიშვილსა და დემერძი დამნაშავედ იცნო, მაგრამ წინასწარ დაპატიმრება ჩაუთვალა და გაანთავისუფლა. მეუღლე ივანე ანდღულაძისა, ეკატერინე და ძმა გიორგი გაამართლა. გაამართლა აგრეთვე მიხ. ცეცხლაძე.

**ნახევარ მილიონ მანეთის გატაცება.**

თორმეტ ოქტომბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩევა ძალიან საინტერესო საქმე. 1909 წელს 14 იანვარს შუა-აზიის რკინის გზაზე (იმიერ-კასპიის მხარეში) მიმავალ საფოსტო მატარებლიდან გაიტაცეს 469,500 მანეთი. მატარებელი კრასნოვოდსკიდან ასხაბადში მიდიოდა. მაშინ ქურდები ვერ აღმოაჩინეს და ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ის იყო, საქმე უნდა მოესპოთ, რომ იმავე 1909 წლის ზაფხულს ტფილისში შეიპყრეს ნიკოლოზ ივანოვი. ეჭვი მიიტანეს, რომ ივანოვს ფული უნდა მოეპაროს, მაგრამ სად, არ იცოდნენ. გამოკითხვის დროს ივანოვი ყველაფერში გამოტყდა და სთქვა—ჩვენ გავიტაცეთ 469,000 მანეთი, ამასთან ზოგიერთი მონაწილეც დაასახელა.

სამართალში მიცემულია 15 კაცი. 14 კაცი დაპატიმრებულია, ერთი ივანე დავითის ძე ლილუაშვილი, იმალება. აი ბრალდებულთა გვარები: ქ. ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი, ჩვენში და მერე ოდესაში კარგად ცნობილი, კაპიტანი ევგენი ვლადიმირისძე ერმოლოვი, 2 პორუჩიკი გიორგი დავითის ძე ოთხმეზური; 3. ერმოლოზ სიმ. ხავთასი, 4. კონს. ნიკ. გრიგოლია, 5. ნიკ. პეტ. ივანოვი, 6. მიხ. იაკ. ივანოვი, 7. ვარლ. მელ. მესხი, 8. პავ. დავ. ელენტი, 9. სერგეი საყვ. სხირტლაძე, 10. ყარამან როსტ. ჯაჯანიძე, 11. ალექსი მერ, ქანტურია, 12. ალექსანდრე პავ. თოფურია, 13. ანტ. იოს. კოსტავა და 14. ნიკ. გიორგ. ფირცხალაიშვილი.

პირველ ორს ჰბრალდებათ ის, რომ იცოდნენ ქურდობის ამბავი, იცნობდნენ ქურდებს, ზოგიერთებს მაინც, მიიღეს მათგან ფული და შეიტანეს იგი ბანკებსა და სხვა დაწესებულებებში, რომ ხუთ და ათ მანეთიანების ნაცვლად უფრო მსხვილი ფული მიეღოთ (სას. დებ. მე-2 ნაწ. მე-92 ნ. და 930 მუხლები). დანარჩენთ ჰბრალდებათ ამხანაგობის შედგენა ფულის გასატაცებლად, საქმის მოწყობა და ფულის გატაცება (სასჯ. დებ. პირველ ნაწილის მე-925 და 1645 მუხ.).

ბრალდებული ერმოლოვი საკომენდანტოში ზის, სამხედრო ჰაუპტვახტაში, დანარჩენნი ტფ. მეტეხის ციხეში სხედან ესენი ყველანი ასხაბადიდან მოიყვანეს ამას წინად და საქმეც ასხაბადის ოლქის სასამართლოდან ტფილისში გადმოიტანეს.

საქმე, როგორც ვთქვით, 12 ოქტომბრისთვის არის დანიშნული.

ბრალდებულთ იცავენ: პორუჩიკს ოთხმეზურს, სამხედრო - იურიდიულ აკადემიის პროფესორად და სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი, რუსეთში ცნობილი პუბლიცისტი და ნაფიცი ვექილი გენერალი ვლ. დ. კუზმინ - კარავაევი და ნაფ. ვექ. თანამშ. ივ. კაჩუხაშვილი. ერმოლოვს—ნაფ. ვექ. ევგ. ტურკევიჩი და ნაფ. ვექ. თანამ. პ. დ. გედევანიშვილი, ხავთასის—ნაფ. ვექილები ლ. სტალინსკის და ხრისტოფოროვი, პავლე ელენტის—ნაფ. ვექ. თავ. იოს. ბარათაშვილი, ალ. თოფურიას—ნაფ. ვექ. მ. გრუზენბერგი, ჯაჯანიძეს—ნაფ. ვექ. ის. დოლუხანოვი, ვ. მესხის—ბაქოელი ნაფ. ვექ. ლიანტოვიჩი, ნიკ. ფირცხალაიშვილს—მოსკოველი ნაფ. ვეფ. თანაშ. მ. გოლდმანი, ალ. ქანტურიას—ნაფ. ვექ. თან. შ. ალექსი-მესხიშვილი, კ. გრიგოლიას—ნაფ. ვექ. კლანკი აღ სხვ.

ამ საქმის გამო დაბარებულია მრავალი მოწმე: ბრალდებულის მხრით—60 კაცამდეა, ბრალმდებელთა მხრით —200 კაცამდე ხაზინა თავისით ედავება ბრალდებულთ გატაცებულ ფულს—469,500 მანეთს. მასალა გამოძიების დროს შეკრებილი, შეიცავს რამდენიმე დაბეჭდილ ტომს.

# ქუთაისის ამ-კარგი

„ზოგი ჭირი მარგებელიაო", ამბობს ხალხის სიბრძნე. ამ გვარი ჭირი დაემართა ქუთაისის ბანკს. შარშან, როცა დონის სადგილ-მამულო ბანკი სცდილობდა თავისი ოპერაციები გაევრცელებინა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ჩვენი ბანკები შეფიქრიანდნენ, რადგან დონის ბანკი დიდ ზარალს მისცემდა, ვინაიდგან მისი სესხი ბევრად უფრო იაფია ვიდრე ჩვენის ბანკებისა.

სამართალი მოითხოვს სთქვას კაცმა, რომ ჩვენი ბანკების გამგეებმა და მათთან ერთად თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს და მთავრობას დონის ბანკის შუამდგომლობა შეაჩერებინეს, ხოლო უკანასკნელმა პირობათ დაუდო ქუთაისის და მგონი ტფილისის ბანკსაც, რომ იმათ სესხი იმდენად გაეიაფებინათ, რომ ამ მხრით დონის ბანკს გათანასწორებოდნენ.

ამ საგანზე წრეულს ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა კრებამ მსჯელობა იქონია და, რასაკვირველია, დაეთანხმა გამგეობას, რომელიც ამ დაპირების (სესხის გაიაფების შეხახებ) ასრულებას ითხოვდა.

ეხლა, როგორც გავიგეთ, გამგეობა უკვე შესდგომია რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას და მსესხებლებს შემდეგი შეღავათი ეძლევათ:

მამულის დამგირავებელი, მამულის დასაფასებლად და გირავნობის ფურცლების დასამზადებლად, აქამდე ერთ დროულად აღებული სესხის ერთ პროცენტს იხდიდა; ამას იქით მსესხებლებს ¼ პროცენტი გადაჰხდებათ.

აქამდის სოფლის მამულების მსესხებლები ბანკის შესანახად და საზოგადო თანხის შესადგენად ყოველ წლიურად სამ მეოთხედ პროცენტს იხდიდნენ, 1912 წლის პირველ იანვრიდან ეს გადასახადი ნახევარ პროცენტამდე შემცირდება. ამაზე უფრო მეტ შეღავათს წარმოადგენს შემდეგი დადგენილება:

აქამდის მსესხებელი ბანკის შესანახსა და საზოგადო თანხის შესადგენ პროცენტს იხდიდა იმ ფულიდან, რომელიც თავდაპირველად მიიღო ბანკიდან რათა წინად აღებულ 1000 მანეთიდან 100 მანეთი თავნი ვალი დარჩენილიყო, მსესხებელი სარგებელს მაინც 1000 მანეთისას იხდიდა. წრევანდელი გადაწყვეტილებით-კი თავდაპირველი ვალის რაოდენობას რამდენჯერაც მეათედი მოაკლდება, იმდენჯერ გადასახადს მოაკლდება გადასახადის მეათედი.

მეოთხე და უკანასკნელი შეღავათი იმაში გამოიხატება, რომ აქამდის მსესხებელს ორ პირველ თვეს, რომელთაც, რაღაც გაუგებრობით, შეღავათიანი თვეები ეწოდება ვადა მოსული გადასახადის შეუტანლობისთვის თვეში 1% ჯარიმა ჰხდებოდა, ეხლანდელის გადაწყვეტილებით ეს ჯარიმა 12½ % შემცირდა და ეს, რასაკვირველია, დიდად გაუდვილებს მსესხებელს ვალის-გასტუმრებასა.

ასეთი გაადვილება მსესხებლის მოვალეობისა ბანკის მიმართ, ეჭვი არ არის, მეტ მსესხებელს- მოუზიდავს ბანკს და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, წინ წასწევს ჩვენი ბანკის საქმეებსა, რაც მუდამ ესაჭიროება ამ დაწესებულების კეთილ დღეობაზე დამოკიდებულ ქართულ გიმნაზიას.

ი. ვ. ქ.

---

**არჩილ ჯორჯაძის მე-IV წიგნის ხელის მომწერთა საყურადღებოდ**

რადგანაც სრულებით მოულოდნელად მეოთხე წიგნი (წერილები „ცნობის ფურცელ-მოამბიდან" 1901—2 წ.) ნავარაუდევზე ბევრად უფრო მეტი ზომისა გამოდის (300 გვ. მეტი), ამიტომ იძულებული ვართ ამ წიგნის ხელის მოწერის ფასს წავუმატოთ 10 კაპ. და ხელის მოწერის ვადაც გადავდოთ 5 ოქტომბრამდე. იმედი გვაქვს ხელისმომწერნი არ დაგვემდურებიან შუა-ხელის მოწერაზე ხელის მოწერის პირობების შეცვლას. ამნაირად **მე IV წიგნი ხელის მოწერით ეღირება 45 კაპ.** და ვისაც სურს წიგნი ფოსტით მიიღოს ფოსტის ხარჯად უნდა წარმოადგინოს 10 კაპ. (3—3)

---

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები.**

21 სექტემბერი.

**რომი.** ტრიპოლიდან ვიცე-ადმირალი ფარაველი იტყობინება, ოსმალეთის კომენდანტმა, დამორჩილება რომ მოვთხოვეთ, ვადა ითხოვა. მიცემული ვადა დღეს თავდებაო.

**სტამბოლი.** რუსეთის ორი გემი, რომელსაც ოსმალეთის ჯარი იემენიდან მიჰყავდა, ომის ამბავი რომ გაიგო, უკან დაბრუნდა. საიდ-ფაშამ საზღვაო მინისტრს განუცხადა, ახლა შენი გადადგომა კონსტიტუციის წესებს ეწინააღმდეგებაო. მინისტრი სამსახურს დაუბრუნდა. ტრიპოლის ვალი იტყობინება, ზომები მივიღე მცხოვრებთა ყუმბარებისაგან დასაცავად და სახაზინო შენობებიც გავაცალკევეო. შაბათს პალატის ქვორუმის თავმოყრის იმედი არა აქვთ, ამიტომ ხონთქრის ირადემ ვადა 1 ოქტომბრისთვის დანიშნა. მთავრობა იუწყება, პრევეზასთან იტალიის ფლოტი გაჩნდა, მას სროლით შეხვდნენო. ტრიპოლის ვალი იტყობინება, იტალიელებს 16 სექტემბერს უნდოდათ გადმოსვლა, მაგრამ ჩვენმა სროლამ და ზღვის ღელვამ ხელი შეუშალაო. ჯარმა მოხერხებული პოზიციები დაიჭირა, მცხოვრებნი გაიხიზნენო.

**სტამბოლი**. მთავრობასა ჰსურს მოლაპარაკება დაიწყოს. კომიტეტი და ჯარი ამის წინააღმდეგია და ომის გაგრძელება უნდათ. ისინი ამბობენ, ოსმალეთი იტალიაზე ნაკლებს იზარალებს, რადგან იტალია ომისთვის ბევრსა ხარჯავს და ვაჭრობაც შეუჩერდება. ტრიპოლის მცხოვრებთა იმედიცა აქვთ, პარტიზანული ომი დიდხანს შეუძლიანთო. ტრიპოლში ნამყოფი აფიცრები ამბობენ, კარგად შეიარაღებულ არაბთა რიცხვი 100,000-მდეაო.

**მონასტერი.** აქაური კორპუსის უფროსი ფეხტერი ალბანეთის ზღვის ნაპირების დამცველ ჯარის უფროსად დანიშნეს. აქედან იქ გაიგზავნა ერთი ცხენოსანთა პოლკი, ქვეითა ჯარი და არტილერია. მოლაშქრეთა დივიზია შეადგინეს. იარაღს ურიგებენ. საბერძნეთის საზღვრებთან ჯარს თავს უყრიან. ბულგარეთის საზღვარზე მყოფი ჯარი არ იძვრის.

**სტამბოლი.** ხმა დადის, იტალია და ოსმალეთი მოლაპარაკებას დაიწყებენო. საიდ-ფაშა ამის მომხრეა და მოლაპარაკებაში რომლისამე სახელმწიფოს ჩარევა საჭიროდ მიაჩნია, მაგალითად ინგლისისა, ინგლისს კი ქიამილ-ფაშასთან ურთიერთობა უფრო სურს. ხმა გავარდა, საიდის ადგილს ქიამილ-ფაშას დანიშნავენო.

საზღვაო ამხანაგობათ პროტესტი განაცხადეს იმ ბრძანების გამო, რომელიც უცხოელებისთვის ქვა-ნახშირის მიყიდვას უკრძალავს. დიდმა ვეზირმა დიდ ვეზირად ნამყოფი ქიამილფაშა, გაზი ფაშა და მუხტარ-ფაშა სათათბიროდ მიიწვია. დიდი ვეზირი ჰგრძნობს, იტალიას დავუთმობთო და ამიტომ ახალგაზდა ოსმალთა საქმეში ჩათრევა უნდა. ისინი კი უარს ამბობენ, პასუხის გებისა რად ეშინიანო. ქიამილ-ფაშა თანახმაა, კაბინეთი, ახალგაზდა ოსმალთა დაუხმარებლად შეადგინოს, თუმცა უკანასკნელი ოპოზიციაში მაინც იქნებიან. კაბინეთის შედგენა ბრკოლდება.

წითელ ზღვაზე იტალიის კრეისერმა ოსმალეთის ნაღმოსანს სროლა დაუწყო. ნაღმოსანმა მახლობელ ნავთსადგურს შეაფარა თავი. ხოდეიდის ახლო ინგლისის დროშის ქვეშ მდგარი გემი იტალიის გემმა ჩაძირა. ინგლისის საელჩოს პროტესტი აცნობეს.

სამხედრო სასამართლომ ბერძნული გაზეთი „პროლოგი" დაკეტა, ჯარის მიმოსვლის ცნობები რათ დაბეჭდეო.

**ბუქარესტი.** პრესა ეჭვობს ბალკანეთში საქმე გამწვავდებაო.

**ლონდონი.** „რეიტერს" კორფუდან ატყობინებენ, ჰერცოგმა პრევეზის ვალის შეუთვალა, ნავთსადგური და მთელი იარაღი ნებით დამანებე, თორემ ზარბაზნებს დაგიშენო.

**რომი.** სურსათსა და მის გასაგზავნად გემებს საჩქაროდ ამზადებენ. „ტრიბუნას" მალტიდან ატყობინებენ, ტრიპოლის არაბეთი იტალიის მოწინააღმდეგეთა ჟურნალისტის ქადაგებამ აალელვა.

მათ გაქცეულთა ქონება დაისაკუთრეს, საბაჟოს საწყობს დაეცნენ, თუმცა ჯარმა ძარცვა-გლეჯის ნება არ მისცა, რადგან საწყობში სხვა სამეფოთა საქონელიც იყო. ბარიდან იტყობინებიან, დურაცოს წასულ იტალიის გემს „მალფეტას" ოსმალეთის ხუთი ნაღმოსანი შემოერტყა. მათ სანთური ჩააქრეს და მიიმალნენ. ავდარმა დევნას ხელი შეუშალა.

**რომი.** ვიცე-ადმირალმა ფარაველმა 20 სექტემბრის 3½ საათზე ტრიპოლის მთავარ სიმაგრეებს ზარბაზანი დაუშინა. სროლამ მზის ჩასვლამდე გასტანა. ოსმალოთა ბატარეიებიც უპასუხებდნენ, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ. მათ სროლა განააპლეს. ზომებია მიღებული, რომ ქალაქი არ დაზიანდეს. გაფუჭებულია მხოლოდ ზღვაზე გზის მაჩვენებელი ნიშანი (მაიაკი).

**ბუდაპეშტი.** ოსმალეთის საელჩოში ბევრი უნგრელი მიდის და ომში მონაწილე მოხალისეთა რაზმში ეწერება. ზოგიერთი აფიცერიც მთავრობას ამის ნებართვასა სთხოვს.

**ათინა.** ათინის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, ყველგან, სხვათა შორის, კრიტზედაც, ნეიტრალიტეტს დავიცავო. ამ აზრისაა რუსეთი და ინგლისიც. ამნაირად კრიტე ნეიტრალ ქვეყნადაა გამოცხადებული. იტალიის პროტექტორატი ომის დროს შეჩერებულ იქნება კუნძულის სრულ ნეიტრალობის დასამტკიცებლად.

**რომი.** ზღვათა სამინისტრომ გამოაცხადა, ყველა ოსმალეთის გემებს, რომელიც კი იტალიის სამფლობელოშია, შინ დაბრუნების ნება მიეცესო. ომის გამოცხადების შემდეგ მოსული გემი კი ნავთსადგურის უფროსებმა უნდა დაატყვევონ. ოსმალეთის იმ გემებს, რომელიც ძალაუნებურად დაბანდდა, ნება მიეცა დაუბრკოლებელ მგზავრობისა. დატუსაღებულ გემებზე მყოფ ნეიტრალურ სახელმწიფოთა საქონლის თაობაზე ახალი ინსტრუქცია გამოვა.

**სარაევო.** მაჰმადიანნი ოსმალეთს დიდს თანაგრძნობას უცხადებენ. ბევრი ჰფიქრობს, ჯარში მოხალისედ ჩაეწეროს.

**ვენა.** პრევეზასთან იტალიის ფლოტის მოქმედებამ ყველა შეაფიქრიანა: იტალია ერთს ამბობს და სხვას სჩადისო. „ნეიე-ფრეიე-პრესე" იუწყება, ავსტრია-უნგრეთი იტალიის მოქმედებას კიდევ დაუცდისო. „ცაიტი" ამბობს, ალბანეთთან იტალიის ფლოტი არ უნდა იყოს, რადგან ალბანელები აჯანყდებიანო.

**ბელგრადი.** ორასმა იტალიელმა, რომელნიც იძულებულნი იყვნენ ოსმალეთი დაეტოვებინათ, სერბიაზე გაიარა.

**ბერლინი.** ციურიხიდან იუწყებიან, ომი რუსეთიდან შვეიცარიაში ქერის გადატანას ხელს უშლისო. დიდძალი ქერი, რომელიც შვეიცარიაში უნდა მიეტანათ, ოსმალელებმა დაიჭირეს. გემები ბრაილოვიდგან გამოსვლას ვერა ჰბედავენ. გერმანელი ვაჭრები ამბობენ, რუსებმა თუ გერმანიასა და ჰოლლანდიის

---

დაურიგონ. პირველი ჯგუფი-ორმოცი ბავშვისაგან შემდგარი, უკვე გაისტუმრეს. ისინი პერუჯიელებმა, სინელებმა, ფლორენციელებმა შეიხიზნეს. მეორე ჯგუფი ბოლონიაში და პიაჩენცაში გაიგზავნა.

მესამე, დღეს რომში მოვიდა ორმოცი ბავშვისაგან შემდგარი ჯგუფი. ეხლაც ვიგონებ ტერპის გაფიცულ მუშების შვილთა მოსვლას. დიდი დემონსტრაცია იყო გამართული, რომელშიაც ოცი ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას. ჰაერში მრისხანე სიტყვები გაისმოდა. გეგონებოდათ—საცა არის სისხლის ღვრა დაიწყებაო. გაიპრიალეს დანებმა, იგრიალეს რევოლვერებმა. ჯარის კაცებმა ხიშტები მოიმარჯვეს „სიკვდილი ექსპლოატატორებს და მძარცველებს!"—იგრიალა ხალხმა და შეშინებული, ნიათ გამოლეულ ბავშვების ჯგუფი ნელა დაიძრა.

რა მოხდა დღეს რომში—არ ვიცი. არიჩიაში კი დიდი სიხარულის დღე იყო. სოფელში დღესასწაული იყო გამართული. თავადმა ქიჯმა ხალხს ძველის ძველ ციხე-დარბაზის დიდ ბაღის კარი გაუღო. გლეხები ბლომად შეგროვდნენ იქ. გაიმართა ველოსიპედების გაჯიბრება, მიზანში სროლა, გიმნასტიური ვარჯიშობა, „ბავშვის სილამაზის" კონკურსი და ლოტო.

საღამოს რვა საათზე, თავადის სასახლესა და ტრამვაის სადგურის შუა გამწკრივდა ორკესტრი. იტალიაში არც ერთი სოფელი არ არის, რომ სასოფლო ორკესტრი არა ჰქონდეს. კვირა-უქმე დღეები ორკესტრი უკრავს მარშს, ნაწყვეტებს „ფაუსტიდან", „რიგოლეტოდან", „ტრავიატიდან" და „სევილიელ დალაქიდან". მთელი სოფელი ამ დროს ორკესტრს ახვევია და ან ტაშს უკრავს, ან და მუსიკის დამკვრელთა შესარცხვენად—უსტვენს. სოფლის პატარა სამმართველოები ცოტა ფულს არა ხარჯავენ ამ ორკესტრებზე და თუ ორკესტრი არ უვარგა, ხშირად სოფლის გამგეობა იძულებულიხდება თანამდებობიდან გადადგეს.

მაგრამ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ. სოფლის ყველა მხრიდან დაიძრა გლეხობა. მოვიდნენ მახლობელ სოფლებიდანაც. ორკესტრის უფროსი, ჩასქელებული მოხუცი, ბჭყვიალა ფოლაქებიან გახუნებულ სერთუკში გამოწყობილი, მკაცრად იჰმუხვნიდა წარბებს, თავს მაღლა იქნევდა, მემუსიკეთ შენიშვნას აძლევდა... ამ მემუსიკეთა ნახვა ხიდზე შეიძლება: ესენი კალატოზები, დურგლები, ქვის მთლელები, სოფლის მოჯამაგირენი არიან, აქვე იყო ძის წული კლერიკალ მეწვრიმალესი და სოციალისტ მეჩექმის შვილიც. ხალხი თან და თან იზრდება. მოდიან ახალ ტანისამოს-ფეხსაცმელებში გამოწყობილი გლეხის ქალები; მოდიან გლეხები მზინავ ულვაშებით, თითქოს კუპრი წაუსვიათო. ხალხის დუნდგოს შუა მოსჩანს არისტოკრატია: წელში მოხრილი, მოხუცი მეაფთიაქე, მას გვერდით მისი ცოლი ყვითელის ქუდით, და გაჩხრიკვული, საფოსტო კანტორის უფროსი. ესენი თავს უკრავენ ზროილობიან ხალხის ბრბოს და ტრამვაის სადგურისაკენ მიდიან. „გაუმარჯოს"!, მოისმის უცებ ყვირილი კუთხიდან. მოედანზე პოყვითანო შუქი მოსჩანს. ეს მაზხალებიო რესპუბლიკანელები მოდიან. ყველას წინ მეწვრიმალე მოუძღვის, მაღალი საყელო ყურებამდე სწვდება, ოქროს ძეწკვი გულზე უბრწყინავს. უკან მოსდევს მისი „მინისტრი" (ნოქარი). ხელში ბაირაღი უჭირავს ზედ წარწერით: „რესპუბლიკანური პარტია". მეორე ახალგაზრდას სხვა დროშა მოაქვს. „გაუმარჯოს გაფიცვას",—ვკითხულობ ამ დროშაზე. გაისმა ტაშის ცემა, სალამი... მეწვრიმალე ამ დღის გმირია. მას აჰყავს ხელში ერთი ბალღი, რომელიც ეხლა მოიყვანეს. ეხლა კი დღესასწაულის მიზეზი ყველასათვის ცხადია. კვლავ ტაშის ცემა გაისმის. დედაკაცები კი ამ დროს დროშის ქსოვილსა შინჯავენ და ჩხუბობენ იმისთვის—სად არის ეს ქსოვილი ნაყიდი—არიჩიასა, ალბინოსა თუ თვით რომში.

— სწორედ კარგი ნაქსოვია! — ამბობენ ზოგიერთები.

— ჰმ, რატომაც არ იქნება კარგი რა!—ბურტყუნებს კლერიკალი —მეწვრიმალეთ ცოტა ფული აქვთ?!

წრიპინებს სკრიპკა, იმის ხალხის ჟრიამული. ერთი წუთის შემდეგ მოედანზე სოციალისტური ჯგუფი გამოდის. სკრიპკა „მარსელიეზას" უკრავს. დამკვრელი დალაქის შეგირდია. მეჩექმე შავ სერთუკში და წითელ ჟილეტშია გამოწყობილი. ღილის კილოში მიხაკის ყვავილი აქვს გარჭობილი. ერთ წარმოსადეგ გლეხს მხარზე წამოუდვია ბაირაღი ზედ წარწერით: „ხოარიჩიის სოციალისტური ჯგუფი". მეპურეს მეორე ბაირაღი მოაქვს: „ყველა ერთისთვის — ერთი ყველასთვის", — აწერია ამ ბაირაღს. კვლავ ტაშის ცემა, კვლავ სალამი. ფოსტალიონი მედიდურად ათვალიერებს მეჩექმეს. მეაფთიაქე ბოროტის თვალით ეჩურჩულება თავადის მსახურს.

მეჩექმე ერთ ამბავშია, დატრიალებს, მოწონების ნიშნად სკოლის მასწავლებელს მხარზე ხელსა სცემს. კლერიკალი—მეწვრიმალე ყვირის—მალე ყველა სოციალისტები მეჩექმეებად გადაიქცევიანო. ერთ აურზაურს იწვევს. ისმის ყვირილი. აგინებენ პაპს, მადონას და თავადს ქიჯის. მაგრამ ფოსტალიონი ყველას ამშვიდებს რიხიანას ხმით:

— დღეს დიდებული დღეა. ნუ იჩხუბებთ. ეგ სახვალიოდ გადასდეთ!...

ხალხი წყნარდება. ამ ამბებში გადის ოციოდ წუთი. მოისმის ხმაურობა, გრიალი. ეს—ტრამვაი მოდის. შემოსახვევში მალე გამოჩნდა ტრამვაი. ვეება ელექტრონის ფარანმა მთელი სოფელი გაანათა. მეჩექმე ეცა წინ. მეწვრიმალე თავის მხრით დაფაცურდა... ორკესტრის უფროსმა ხელი მაღლა ასწია. „გაუმარჯოს!"—იგრიალა ხალხმა...

მუსიკა „ინტერნაციონალსა" გრგვინავდა, ხალხი ტაშს უკრავდა კაცს, რომელიც ტრამვაიდან ჩამოდიოდა. ვაგონიდან ერთი მეორეზე მოცოცავდნენ 7—12 წლის ბავშვები. მათ ხალხი გარს შემოეხვია. „დროებითი მშობლები" ჰკოცნიდნენ თავიანთს დროებით შვილებს, ხელში კარამ-პურს, ტკბილს კუპატებს აძლევდნენ. ბავშვები რომ გადმოსხა, შრომის კამერის მდივანი ისევ ტრამვაიზე შეხტა. აქ მას სხვა ბავშვები ელოდნენ. ესენი მას ჟენცანოში უნდა გადმოესხა. ხალხმა ჰაერში ქუდების ქნევა იწყო, „ინტერნაციონალი" ისევ დაუკრეს, ტრამვაი გაექანა და მალე უზარმაზარ ფიჭვის და ლობიოს ხეებს მიეფარა.

ტრამვაი წავიდა, მაგრამ მუსიკა კი ისევ გრგვინავს. ორკესტრი სახლებამდე აცილებს დროებით მშობლების დროებით შვილებს. მღერიან რევოლიუციონურ სიმღერებს, ჰაერში დროშებს აფრიალებენ, ამბობენ ცხარე, გულწრფელ სიტყვებს. სიყვარულსა და თანაგრძნობას უგზავნიან შორეულს ძმებს, რომელნიც პიომბინოში იღუპებიან.

ფოსტალიონიც კია შეწუხებული. მას ჩვეულებრივი მედიდურობა აღარ ეტყობა. მასაც უჭირავს ხელში უზედურთაგანი და ახრილი, რომ ბალღმა კარგად გაიგონოს, რაღასაც ელაპარაკება. ეტყობა, რაღაცა კარგს კი ეუბნება, რადგანაც ბავშვი იღიმება, ხტუნაობს.

მაზხალები ღამის თორმეტ საათამდე ენთო და არიჩის მცხოვრებნი ჟრიამულით დაიარებოდნენ მოედანზე, ძმურმა თანაგრძნობის გრძნობამ განწმინდა მათი გული, ყველა დიად, ძმურ სოლიდარობის დღის შესახებ ლაპარაკობდა.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცა დჰკაშკაშებდა ამ იშვიათ ხალხს, რომელიც მხოლოდ თავის თავზე არ ზრუნავს, რომელსაც ჭირში მყოფ მოძმეც ახსოვს და მისი ჭირი თვის ჭირად მიაჩნია.

ხან. განა-ძე.

ქერი არ მიაშველა, პირობას დაარღვევსო.

### ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**ვიქტორ ემანუილის აზრი.**

პარიზში, იტალიის საელჩოში „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს გაუგია, მეფე ვიქტორ ემანუილს ომის გამოცხადება არ უნდოდაო. იგი ყოველს ზომას იხმარს, ოსმალეთის თავმოყვარეობა როგორმე დააკმაყოფილოს და შეურიგდესო.

**ᲠᲝᲛᲨᲘ.**

ომის ამბავი ძლიერ დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. გაზეთები ხალხმა დაიტაცა.

ოკუპაცია საერთო აფრთოვანებას იწვევს. პატრიოტული მანიფესტაციები იმართება.

სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები სანიტარებად ეწერებიან. მათ შორის რუსებიცაა.

**ᲕᲐᲢᲘᲙᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ.**

იტალიის გაბედულმა გალაშქრებამ კლერიკალთა წრეში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ამისთანა მამულიშვილურ გუნებაზე ჯერ არა ყოფილან.

პაპს თურმე ძალიან მოსწონს საქმის მსვლელობა.

**სოციალისტთა მოთხოვნა.**

პარლამენტის სოციალისტური ჯგუფი პარლამენტის შეკრებას ითხოვს.

**ალბანელების უარი.**

ალბანელებმა განაცხადეს, იტალიის საქონლის ბოიკოტში მონაწილეობას არ მივიღებთო.

**გერმანელთა შიში.**

გერმანელები ინგლისელთ მოყვარე, გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფ ქიამილ-ფაშის დანიშვნამ ძალიან შეაფიქრიანა. ეშინიანთ, ვაი, თუ ოსმალეთმა კურსი შესცვალოს და გერმანიის „ოპეკას" ზურგი აქციოსო.

**ავსტრიის აზრი.**

ერთს დიპლომატს „რუსკოე სლოვოს" თანამშრომლისთვის უთქვამს, როდესაც იტალია ტრიპოლის დაიპყრობს, ოსმალეთის კონსტიტუცია დაიქცევა და ანარქია გამეფდებაო. ბალკანეთში აჯანყება იფეთქებს. ვინ არის თავდები, რომ ეს ცეცხლი არ გავრცელდებაო. თუ ევროპის სახელმწიფოები ამას ვერა ჰხედვენო.

**საფრანგეთის გაზეთების აზრი.**

გაზეთები ჰშიშობენ, იტალიამ სახიფათო ავანტიურა დაიწყოო.

„ჰუმანიტე" ამბობს: „საერთაშორისო ურთიერთობაში ყაჩაღობის ხანა ისევ დადგა, იტალია დამწყებია. ცხადია, ტრიპოლი საერთაშორისო შეთქმულების ეპიზოდია, რომელიც თანდათანობით განხორციელდებაო გაზეთის აზრით, ევროპის პროლეტარიატი ნებას არ მისცემს მხეც ყაჩაღთ, ქვეყანა სისხლით მორწყონო.

**ინგლისელთა აზრი.**

გაზეთები გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის უსაყვედურებენ, რატომ გერმანიას დროზე არ დაუახლოვდი და ომის ნება მიეციო.

**ტრიპოლის აღება.**

გაზეთს „კასპს" სტამბოლიდან ატყობინებენ, იტალიელებმა ტრიპოლი აიღეს ზარბაზნების დაშენის შემდეგაო. ოსმალეთის რაზმს წინააღმდეგობა არ გაუწევია, ქალაქიდან გავიდა და სასტიკ ბრძოლისთვის ემზადებაო.

**იტალიის სურვილი.**

ხმა გავარდა, ოსმალეთს ალბანეთის ანექსია სწადიან, რაც ავსტრიასთან ომს გამოიწვევსო.

**გერმანიის ცდა.**

ამბობენ, სტამბოლში მყოფმა გერმანიის ელჩმა ხონთქარი მაჰმად V დაიჯერა, იტალიელებს ტრიპოლის ვილაიეტი დაუთმო.

**პარიზის გაზეთები.**

გაზეთები სწერენ, გერმანიასა და ავსტრიას საიდუმლო ხელშეკრულობა აქვთ დადებული თუ ოსმალეთისთვის ეს ომი საუბედურო იქნება, ჩვენ გავინაწილოთ იგიო.

**საბერძნეთში.**

სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა საბერძნეთს შეუთვალეს, კრიტის საკითხის წამოყენების დრო არ არისო.

**ხონთქრის გადაყენება.**

„ლოკალანც" ამბობს, ხმა დადის, ხონთქარი ტახტიდან გადადგაო.

**სახელმწიფოთა შუამდგომლობა.**

ამბობენ, ევროპის სახელმწიფოთ აზრადა აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ტაფტს მიჰმართონ და იტალია-ოსმალეთის შერიგება სთხოვონო.

## ᲡᲢᲝᲚᲘᲞᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

„კიევსკაია პორტა" გვიამბობს: ბაგროვი და მურავიოვი პირველად 1906 წელს, კიევში სოციალ-რევოლიუციონერთა კონფერენციაზე შეხვდნენ. ბაგროვი ერთ-ერთ ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო, მურავიოვი—პეტერბურგის მთავარ კომიტეტისა. მურავიოვმა ერთხელ კიდევ ნახა ბაგროვი, როდესაც იგი კომიტეტის მინდობილებით კიევს იყო გაგზავნილი. ამის შემდეგ ბაგროვი და მურავიოვი ერთმანეთს დაჰშორდნენ. ბაგროვს დამცველ პოლიციაა დაუახლოვდა, მურავიოვი რევოლიუციონერად დარჩა. 1909 ყველა ორგანიზაციები მოისპო და მურავიოვი მარტო დარჩა. ამავე დროს ხმა გავარდა, ბაგროვი პროვოკატორიაო. მურავიოვი კიევს მივიდა და ყველაფერი გაიგო. თავისიანებში იგი ლაპარაკობდა, ანარქისტი ვარო. ამის მიუხედავად მურავიოვი თვითგანვითარების წრეებს აარსებდა. ბაგროვის მდგომარეობა აუტანელა შეიქმნა.

აგვისტოს შუა რიცხვებში მურავიოვი საზღვარ-გარეთისაკენ გაემგზავრა, მაგრამ გზაზე კიევს შეუხვია, სადაც, ნათესავები ჰყავდა. აქ დაპატიმრეს და თავი მოიკლა.

მურავიოვის დაპატიმრების შემდეგ დამცვ. პოლიციაში ბაგროვი მოვიდა და კულიაბკოს ებაასა. არ იციან რა ელაპარაკა კულიაბკოს, მაგრამ ის კი დაუნახავს, რომ ბაგროვი ძლიერ აღელვებული, გაფითრებული გამოსულა და უთქვამს: ახლა ყველაფერი გათავდაო!

ჰფიქრობენ, ამან იმოქმედა და ბაგროვმა გადასწყვიტა ისეთი რამ ჩაედინა, რომ დამცველ პოლიციასთან კავშირი სამუდამოდ გაეწყვიტა.

## ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ.**

**ლონდონი.** „ტაიმს" სიმლიდან ატყობინებენ, რადგან სამხრეთ სპარსეთში უწესოება არ ისპობა, ბრიტანიის საელჩოთა დაცვა გაძლიერეთო. ინდოელ კავალერიის ორ პოლკს ებრძანა, სპარსეთის ყურისკენ წასვლისთვის მზად იყვნო.

**თეირანი.** კაშანს წავიდა 350 კაზაკებისგან შემდგარი რაზმი, ტყვიის მტყორცნელებით, ზარბაზნითა და რუს ინსტრუქტორების გრიგოროვის, ჩაბარსკის და ზაპოლსკის მეთაურობით ყაჩაღ ნაიბ-ჰუსეინის შესაპყრობად. ეს ჰუსეინი ბახტიარებმა დაიჭირეს, მაგრამ გაექცათ. მთავრობა მას 30 წელიწადია დასაქერად დასდევს.

ზერგენდში მყოფნი პირნი, რომელთაც რეაქციის მომხრეობა ჰბრალდებოდათ და რუსეთის მისიამ ითავდება, პრინც-რეგენტს და მინისტრ-პრეზიდენტს წარუდგენენ. ეხლა თეირანს მიდიან.

**თავრიზი.** სანოვაგის ძლიერი ნაკლებლობაა. პურის ფასმა ერთი ორად იმატა. შუჯაუდ-დოულე დარწმუნდა, თავრიზს ვერ ავიღებო და ერთი კვირაა არაფერს აკეთებს. შახსევნისა და ყარაჯაღის ხანები მიდიან, რადგან ეფრემის რაზმის ადერბეიჯანისკენ წასვლისა ეშინიანთ.

**თავრიზი.** რახიმ-ხანი და რამდენიმე მისი მხლებელი მხეცურად აწამეს ქალაქის თოფხანაში ენჯუმენის წევრის მირზა-ალა-ბულულას თანადასწრებით, რომელიც გუბერნატორის თანაშემწის მოვალეობას ასრულებს.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 სექტემბერი.

**ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ.**

**ტოკიო.** იაპონიის მთავრობა შეაფიქრიანა იმ გარემოებამ, რომ რუსეთი ამურზე საკუთარ თევზის მრეწველობის მოწყობას აპირებს.

**მადრიდი.** მინისტრთა საბჭოში, რომელსაც პორტუგალიის მონარქისტთა მოძრაობის თაობაზე ჰქონდა თათბირი, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ზომები მივიღეთ საზღვარზე ნეიტრალიტეტის დაცვისათვისო და კრებას აუწყა, გალიციის საზღვარზე პორტუგალიის მიმავალი ავტომობილი დაიჭირეს, რომელშიც 40 მგზავრი იყოო.

**პარიზი.** აქ მცხოვრებ მონარქისტთა სიტყვით, კაპიტანი კონსეირო 4000 მეომრით პორტოს პროვინციაში პრაგანცს შეიჭრა. პორტუგალიელ რესპუბლიკელმა დიამ „ჟურნალის" თანამშრომელს უთხრა, კონსეიროს ცდა რესპუბლიკანელთათვის საშიში არ არისო.

**პეკინი.** სიჩუანში მოძრაობა ძლიერდება. იუნანის და ქვეის ჯარი უზუნში არის და მთავრობასთან მოლაპარაკება აქვს. ჩინეთის მთავრობამ კორეელების ჩინეთის ქვეშევრდომად ჩაწერის საქმე ძალიან გაუადვილა: ათის წლის მაგივრად საჭიროა ჩინეთში მხოლოდ ერთი წლის ცხოვრება. მრავლისაა კანსუში. მაჰმადიანთა მოძრაობა დაიწყო უდასუტაის ძაანძინმა მეფეს მოახსენა, 123,000 ლანის გერმანული თოფი და პატრონი შეეძინოთ. ნაციონალური ჯომნი უმადლესად დაამტკიცეს.

**დარმშტადტი.** რუსეთის მინისტრ-პრეზიდენტი ვანდერვილიტი დიდმა ჰერცოგმა მიიღო და რწმუნების ქაღალდი ჩააბარა.

**დრეზდენი.** ავადმყოფთათვის საერთაშორისო გამოფენაზე რუსის ექიმის გუნტის ურმის სისტემა მოიწონეს. იგი ძალიან კარგია, ცხელ მხარესა და ვიწრო გზებზე ავადმყოფთა გადასაყვან-გადმოსაყვანად.

**ანტი.** მატობრიან-სენ ნაზერის რკინის გზაზე ორი საბარგო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა მოსამსახურეთაგან ორი მოკვდა.

**ლონდონი.** ირლანდიაში რკინის გზაზე გაფიცვა დასრულდა.

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.**

**ბლაგოვეშჩენსკი.** როტმისტრმა ავერმა ფულის გაფლანგვის თაობაზე შეპყრობილ დესეტნიკის გაჩხრეკა მოინდომა. მან წინააღმდეგობა გაუწია. 50-ჯერ გაისროლეს, მაგრამ არავინ მოუკლავთ. მსროლელნი—3 პოლიციელი და ერთი მცველი—შეიპყრეს.

**ნოვოროსიისკი.** 28 გვერძზე ავტომობილებს უბედურება შეემთხვათ. ვიცე-გუბერნატორი, ექიმთა ინსპექტორი და ექიმნი წაიქცნენ, ერთ ავტომობილს საწინკარი მოსტყდა.

**პეტერბურგი.** სასამართლომ „ზემშჩინას" რედაქტორს გლინკა-იანჩევსკის, რომელმაც გოლიის სუბერნიის მმართველობის მოქმედების შესახებ ყალბი ცნობა გაავრცელა, ორი კვირით ციხე გადაუწყვიტა.

**მოსკოვი.** ციმბირის ბანკში ტელეფონისტის არტელის მუშაკებს 10,000 მან. ხელი მოჰპარეს.

**სევასტოპოლი.** ფლანგმანის გემი „პანტელეიმონი", ნავთსადგურიდან გამოსვლისას რადგას წააწყდა და ცოტათი დაზიანდა. მაინც სევასტოპოლს მშვიდობიანად მოვიდა.

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**სახაზინო თეატრი.** „აიდა"-მ ბევრი ხალხი მიიზიდა. ამას სხვათა შორის ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ დღეს შერჩეული შედგენილობა იყო დასისა: მონაწილეობას იღებდნენ დასის საუკეთესო მომღერალნი: ქ-ნი ალეშკო (აიდა), სერგეევი (რადამესი), ლაზარევი (რადამისი) და საკოლსკი (ამონასტრო). ქ-ნმა ალეშკომ თავისი ლამაზი ხმით, რომელსაც საკმაო სიძლიერესთან ერთად სინაზეც აქვს, კარგი შთაბეჭდილება მიახდინა სმენელებზე. ჰგრძნობდით, რომ თქვენს წინა სდგას მომღერალი, რომელიც შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო თავისი ხმით, არამედ სიმღერითაც, გადმოცემით. ბ-ნი ლაზარევი საკმაოდ კარგი ტენორია, მან უკვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, მაგრამ გუშინ რაღაც უგულობა ეტყობოდა, საზოგადოდ, წმინდად ვერა მღეროდა და ბევრს ალაგას კი ხმა პირდაპირ მოსწყდა. ბ-ნი საკოლსკი (ამონასტრო) ამ დღეს ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე სხვა დროს.

საზოგადოდ, მთელმა ოპერამ ძალიან მწყობრად ჩაიარა ანსამბლი ისეთმა სუსტმა მომღერალმაც კი ვერ დაარღვია, რანაირიც ბ-ნი შერემეტიევია.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

### ᲓᲝᲥᲢ. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**ᲓᲘᲚᲘᲗ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. შ. ჩაქთავანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანის: სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარცმევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინ. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. (1168—188)

„ს. პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორია".
1860 წ. დაარსებული.
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.

### ᲡᲐᲞᲝᲜᲘ „ᲑᲐᲨᲘᲚᲘ ᲘᲐ".




გლიცერინის საპონი „ბაშილი ია" ახალმოგლეჯილ იის სუნის სრულ შთაბეჭდილებას ახდენს: აქვს უხვად გამაგრილებელი ქაფი და განსაც სინაზეს აძლევს.

მთავარი საწყობი: ტფილისი, საავთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (13—1293—4)

### ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ

„მასწავლ.-ქალთა საზ.-გადოებასთან" ორივე სქესის ბავშვებს ყველა საგანში და ენაში ● ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ● საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის. მეცადინეობა 3 ოქტომბერს დაიწყება. მსურველნი საზოგადოების „მასწავლებელ-ქალთა საზოგადოების" კანტორაში უნდა ჩაეწერნენ, ბარიატინსკის ქ., N 6, დილის 10—2 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე. (3.835.2)

### ᲡᲐᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

გ. და მ. ტერ-დავიდოვებისა. ნიკოლოზის ქ., N 36, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. კანცელარია ღიაა საღამოს 4—6 ს. სწავლა დაიწყება 15 ენკენისთვიდან. (25.781.22)

სომხებისა და პუშკინის ქუჩ. კიმში

### ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲥᲢᲘᲠᲘ

მთელის მოწყობილობით.
იკითხეთ არაქელიანცთან.
(8.846.1)

### ᲔᲥᲘᲛᲘ Შ. Ა. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდი

### ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, სავაჭრო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან სასწავლებლების ხარისხზე. ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

ს-მონოვის ქუჩა, № 23, ქვემო სართულში. შესასვლელი მთავარ-კარებიდან, ქვემო ზარი, და ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. (თ.—1084—34)

◀ მშობიარეთათვის ▶

### ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲑᲔᲑᲘᲐ-ᲥᲐᲚᲘᲡ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6 დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—1083—79)

სამკურნალო კაბინეტი

### ᲔᲥᲘᲛ Პ. Ს. ᲤᲝᲜ-ᲘᲠᲢᲔᲚᲘᲡᲐ

(ელისაბედის ქ., № 17, ცერკოვნი მისახვევის პირდაპირ).

სპეციალისტი-ქირურგი (სიმსივნისა), საშარდე ბუშტისა, მილისა, თირკმელებისა და სასქესო ორგანოთა (უღონობა, ნერვიული სისუსტე, ჩუკუნების შედეგი), ათაშანგისა და მის შედეგთა, (ერლიხის „606"-ის ხმარებით და ბერლინის კლინიკათა სხვა საშუალებით), ვენერიულ ავადმყოფობათა (სუსუნატისა და მილის დავიწროვების წამლობა), კანის სნეულებათა წამლობა ელექტრონით და ოპერაციები.

ავადმყოფთა მიღება დილის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 ნახ. საათამდე. ქალთათვის ნაშუადღევს 2—3 საათამდე. (25.1505.7)

### ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ:

| | | |
|---|---|---|
| ᲐᲠᲩᲘᲚ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡᲐ: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა" . . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| Bâton-ისა: | „ერი და კაცობრიობა" . . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| Ვ. ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡᲐ: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| Ნ. ᲨᲘᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.




(40—1465—7)

ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲘᲗ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔᲗ

### ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘᲡ

● ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი, № 9, ტელეფონი № 712,

✦ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ✦

ᲝᲡᲔᲢᲠᲘᲜᲐ (ზუთხი) და ᲡᲔᲕᲠᲘᲣᲒᲐ (ტარაღანა).

ყოველ დღე ცხელი ᲚᲝᲨᲘ.

◀ საუკეთესო პაისუნი ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ გირვანქა 1 მ. 20 კ.

ახალი კეტოვი ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ

აგრეთვე მივიღეთ საუკეთესო ღირსების ᲡᲔᲚᲘᲝᲓᲙᲔᲑᲘ სამეფო, დუნაისა, რიგისა და ქერჩისა.

(წ.—1062—)


სტამბა „სორაპანი", მადათოვის ქუჩა. რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.